

შპს „აგრომეტი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება	7
კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება	9

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
4. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა	19
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	21
6. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	22
7. ფული და ფულის ეკვივალენტები	23
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	23
9. წინასწარ გადახდილი გადასახადი	23
10. მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	24
11. გაცემული სესხები	24
12. ძირითადი საშუალებები	25
13. საინვესტიციო ქონება	26
14. ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	26
15. ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	27
16. მიღებული ავანსები	27
17. მოკლევადიანი / გრძელვადიანი სესხები	27
18. შემოსავალი	27
19. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	28
20. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	28
21. მოგება ძირითადი საშუალების და საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან	28
22. საწესდებო კაპიტალი	28
23. ფინანსური რისკების მართვა	28
24. დაკავშირებული მხარეები	32
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აგრომეტის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „აგრომეტის“ (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგებისაგან, ასევე ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ინდივიდუალურ ფულადი ნაკადებს ამავე თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 80 ათას ლარს 171 ათას ლარს (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 140 ათასი ლარი). ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს რადგან კომპანიას არ ჩაუტარებია ინვენტარიზაცია. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, ალტერნატიული მეთოდებით მიგვეღო რწმუნება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც წარმოდგენილი იყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შედეგად, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით და აგრეთვე გამოყენებულ მარაგებთან დაკავშირებით, რაც შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის ძირითადი საშუალებები, გარდა სხვა ელემენტებისა, მოიცავს წიგნებს რომელთა ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 277 ათასი ლარი, 566 ათასი ლარი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 855 ათასი ლარი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანია აღრიცხავს წიგნების ჯამურ რაოდენობას, თუმცა ერთიანი რეესტრი ზემოხსენებული აქტივისა არ არსებობს, ამიტომაც ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი აუდიტორული რწმუნება ძირითადი საშუალებების ამ ჯგუფის წმინდა საბალანსო ღირებულებაზე და შესაბამის ცვლის ხარჯზე.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის განმავლობაში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ის სახელით

გელა მღებრიშვილი

თბილისი, საქართველო

2019 წლის 31 აგვისტო

შპს „აგრომეტი“
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017*	1 იანვარი, 2017*
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	2,211	3,470	4,520
საინვესტიციო ქონება	13	63,422	63,048	63,786
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	14	7,343	7,283	6,785
ბიოლოგიური აქტივები		32	18	13
არამატერიალური აქტივები		10	-	-
მიმდინარე აქტივები				
გაცემული სესხები	11	833	761	670
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	10	324	1,105	2,367
გადახდილი ავანსები		30	41	25
საგადასახადო აქტივი, წმინდა	9	478	312	-
მარაგები	8	80	171	140
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	58	125	124
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	1
სულ აქტივები		74,821	76,334	78,431
მიმდინარე ვალდებულებები				
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	15	62	122	148
მიღებული ავანსები	16	19	34	924
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	9	-	-	206
მოკლევადიანი სესხები	17	159	14	-
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	17	2,300	1,000	-
სულ ვალდებულებები		2,540	1,170	1,278
საწესდებო კაპიტალი		80,251	80,251	80,250
აკუმულირებული ზარალი		(7,970)	(5,087)	(3,097)
სულ კაპიტალი		72,281	75,164	77,153
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		74,821	76,334	78,431

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

31 აგვისტო, 2019
 თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2019
 თბილისი, საქართველო

10-33 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „აგრომეტი“
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

		2018	2017 *
შემოსავალი	18	1,842	1,711
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	19	(4,091)	(3,632)
საერთო მოგება		(2,249)	(1,921)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	20	(100)	(97)
ადმინისტრაციული ხარჯები	20	(379)	(645)
საოპერაციო მოგება		(2,728)	(2,663)
წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან		2	15
მოგება ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების			
რეალიზაციიდან	21	-	729
სხვა შემოსავალი		134	82
სხვა ხარჯი		(216)	(43)
ფინანსური შემოსავალი		70	70
ფინანსური ხარჯი		(145)	(14)
სხვა ფინანსური ხარჯი		-	(166)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(2,883)	(1,990)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(2,883)	(1,990)

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2019
 თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2019
 თბილისი, საქართველო

10-33 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „აგრომეტი“

საკუთარი კაპიტალის ინდივიდუალური ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა22)	აკუმულირებული ზარალი	სულ
1 იანვარი 2017*	80,250	(3,097)	77,153
წლის ზარალი	-	(1,990)	(1,990)
ნეტო ცვლილება კაპიტალში	1	-	1
31 დეკემბერი 2017 *	80,251	(5,087)	75,164
წლის ზარალი მოგება		(2,883)	(2,883)
31 დეკემბერი 2018	80,251	(7,970)	72,281

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2019
თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2019
თბილისი, საქართველო

10-33 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „აგრომეტი“
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	2018	2017*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებელისგან მიღებული ფულადი ნაკადები	2,971	3,896
მომხმარებლისგან მიღებული ავანსები	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(2,774)	(2,357)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(199)	(170)
ფულადი ნაკადები სხვა საოპერაციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(2)	1,369
გადახდილი გადასახადები	(1,313)	(1,875)
წმინდა ფულადი საშუალებების გადინება საოპერაციო საქმიანობებიდან	(1,313)	(1,875)
ფულადი საშუალებების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობებიდან		
ინვესტირებული თანხა	(60)	(498)
წმინდა ფულადი საშუალებების გადინება საინვესტიციო საქმიანობებიდან	(60)	(498)
ფულადი ნაკადები ფინანსირების საქმიანობებიდან		
ინვესტიციის გადინება	-	(500)
გაცემული სესხებიდან მიღებული ფულადი ნაკადები	1,300	1,000
ბანკის საკომისიოზე გადახდილი ფულადი ნაკადები	-	(1)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება ფინანსირების საქმიანობებიდან	1,300	999
ფულადი საშუალებების და მისი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(76)	(5)
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	125	124
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება	7	6
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	58	125

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2019
 თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2019
 თბილისი, საქართველო

10-33 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „აგრომეტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „აგრომეტი“ (კომპანია) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2011 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის 100% წილის მფლობელი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის არის ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინვესტიციო ქონებიდან საიჯარო შემოსავლის მიღება.

კომპანიის სარეგისტრაციო მისამართი: # 240 დავით აღმაშენებლის ხეივანი, თბილისი, საქართველო.

კომპანიის დირექტორი არის თამთა ოტიაშვილი

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებულს ბასს 27 „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ სტანდარტის მიხედვით.

კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება კონსოლიდირდება საქართველოში რეგისტრირებულ ა(ა)იპ „ცოდნის ფონდის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ სტანდარტის შესაბამისად.

ფასს-ის მიხედვით შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმისაწვდომია საჯარო სარგებლობისთვის.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ წარმოდგენილი ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინა წლის ფინანსური ანგარიშგება ასევე მომზადებული იყო ფასს-ის შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ 2018 წელს გამოიმუშავა 2,883 ათასი ლარის წმინდა ზარალი (2017 წელს 1,990 ათასი ლარი), 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქტივები ვალდებულებებს აღემატება მის ვალდებულებებს 72,281 ათასი ლარით (75,164 ათასი ლარის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით). აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 15 და ფასს 9. აღნიშნული ახალი სააღრიცხვო სტანდარტების დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

კომპანიამ პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ დაუწერგავს არც ერთი სტანდარტი, ცვლილება ან შესწორება, რომელიც უკვე გამოცემულია, თუმცა ძალაში შესული არ არის. თითოეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

ფასს 9 "ფინანსური ინსტრუმენტები"

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას არ გადაუწერგავია 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია ფასს 9-ის მიხედვით, შესაბამისად 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია გაცხადებულია ბასს 39-ის შესაბამისად.

ფასს 9-ის მიღების შედეგად წარმოშობილი სხვაობები, მსგავსის არსებობის შემთხვევაში, პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაშია აღიარებული 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ (SPPI) კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. სავალო ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნესმოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება ეს ფინანსური ინსტრუმენტები:

- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით;
- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“ ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ინსტრუმენტები, რომლების იმართება სხვა საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

წილობრივი ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხდება ინსტრუმენტების შეუქცევადი კლასიფიცირება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი რეკლასიფიცირების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება მეტწილად უცვლელი რჩება და არ განსხვავდება არსებული ბასს 39-ის მოთხოვნებისგან. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კვლავ შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები აღარ არის გამიჯნული დაკავშირებული ფინანსური აქტივისგან.

(ბ) გაუფასურება

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომა ჩაანაცვლა ფასს 9-მ, საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით.

რეზერვები ეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას. კომპანიის გაუფასურების დარიცხვის მეთოდი განხილულია შენიშვნა 10-ში.

ფასს 9-ის დანერგვას არ ჰქონია რაოდენობრივი გავლენა 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ფასს 15, რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში და შეცვლილ იქნა 2016 წლის აპრილში, განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან და იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის შემოსავლის წყარო, იჯარა და კომუნალური გადასახადები, სტანდარტის მიღებამდე წარმოადგენდა შემოსავალს, რომელიც ნაწილდებოდა სხვადასხვა პერიოდზე შესრულებული სამუშაოს პროპორციულად, შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ახალი სტანდარტის დანერგვას არ ჰქონია გავლენა კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილზე, შემოსავალზე სახლების რეალიზაციიდან. შედეგად, კომპანიის შემოსავლის უმეტესი ნაწილი არ შეცვლილა სტანდარტის დანერგვის შედეგად.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. საინვესტიციო ქონების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული საინვესტიციო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება, ხოლო ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყის ღირებულებას, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა საინვესტიციო ქონების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება მათი ჩამოფასება უმაღლესი თანხით, შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება. საინვესტიციო ქონების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

საინვესტიციო ქონების ჯგუფი

სასარგებლო პერიოდის ვადა

მიწა

არ იცვითება

შენობა- ნაგებობები

50 წელი

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი

ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი

სასარგებლო პერიოდის ვადა

წიგნები

8 წელი

მანქანა დანადგარები

8 წელი

კომპიუტერული ტექნიკა

8 წელი

ავეჯი და მოწყობილობები

8 წელი

მანქანა-დანადგარები

8 წელი

დაუმთავრებელი წარმოება

8 წელი

სხვა

8 წელი

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა,

როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა კლიენტებზე გაცემულ სესხებად და მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

2018 წლის 1 იანვრამდე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი. ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას

წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მოთხოვნები

2018 წლის 1 იანვრამდე, გაცემული სესხები და მოთხოვნები წარმოადგენდნენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყვნენ

კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ იყო განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ იყო კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

▶

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ

აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავსლი

კომპანიის ძირითდ შემოსავალ წარმოადგენს იჯარა და კომუნალური გადასახადები.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს, რომ ფინანსური ანგარიშგების დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსება. გადასახადები, გარდა მოგებისა აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები დაარამტერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა

გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი წინასწარი გადახდები აღიარდება, როგორ ძირითადი საშუალება მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება იმ საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი გადახდებთან. თუ არის რაიმე სახის ეჭვი, რომ საკონელი, მომსახურება ან

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალება არ იქნება მიღებული, რომლისთვისაც გაწეულია წინასწარი ხარჯი, ამ შემთხვევაში ხდება წინასწარ გაწეული ხარჯის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღირიცხება მიღებული თანხით. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური

ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომლის გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	1 იანვარი, 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922	2.6468
1 EUR/GEL	3.0701	3.1044	2.7940
წლის საშუალო გაცვლითი კურსი			
	2018	2017	
1 USD/GEL	2.5345	2.5086	
1 EUR/GEL	2.9913	2.8322	

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფასს 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასს (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამოწვევას: მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ვალდებულებები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიწვევს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. კომპანია ფასს 16-ის მიღებას აპირებს რეტროსპექტულად, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების ჯამური (კუმულაციური) ეფექტით, რომელიც აღიარებულია თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტის გამოყენებას იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე, ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით, იჯარებად განისაზღვრებოდა. ამიტომ კომპანია არ გამოიყენებს სტანდარტს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე არ განისაზღვრებოდა იჯარის შემცველად ბასს 17-ისა და

ფასიკ 4-ის გამოყენებით. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებას იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა მიხედვითაც, იჯარის ვადა მთავრდება 12 თვეში თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, და აგრეთვე იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა. კომპანიის იჯარით აქვს აღებული ფილიალები, რომელთაგან ნაწილი გაფორმებულია 1 წელზე მეტი ვადით. კომპანია ამჟამად აფასებს ფასს 16-ის მიღების გავლენას, მაგრამ ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის არ მოელის, რომ ამ სტანდარტს რამე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მის საკუთარ კაპიტალზე.

ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია – „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადების აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო დაბეგვრა შეიცავს გაურკვევლობას, რაც გავლენას ახდენს ბასს 12-ის გამოყენებაზე. იგი არ ვრცელდება ბასს 12-ის მოქმედების არეალის მიღმა მყოფ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე, ამასთან იგი არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გაურკვევლობის შემცველ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული ჯარიმებისა თუ საურავების შესახებ. ინტერპრეტაცია კონკრეტულად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს თუ არა გაურკვევლი საგადასახადო დაბეგვრის წესებს;
- დაშვებები, რომლებსაც კომპანია აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიერ გამოყენებული საგადასახადო დაბეგვრის წესების შემოწმების შესახებ;
- როგორ განსაზღვრავს კომპანია დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ბაზებს, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებს და საგადასახადო განაკვეთებს;
- როგორ განიხილავს კომპანია ცვლილებების შეტანას ფაქტებსა და გარემოებებში.

კომპანიამ უნდა განსაზღვროს, გაურკვევლობის შემცველი თითოეული საგადასახადო დაბეგვრის შემთხვევა ცალკე განიხილოს, თუ გაურკვევლობის შემცველ ერთ ან მეტ საგადასახადო დაბეგვრასთან ერთად. ამას უნდა მოჰყვეს მიდგომა, რომელიც უკეთესად ახდენს გაურკვევლობის გადაწყვეტის პროგნოზირებას. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა მასზე გადასვლის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. კომპანია ინტერპრეტაციას გამოიყენებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. კომპანია ვარაუდობს რომ ინტერპრეტაციას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა მის კაპიტალზე.

ცვლილებები ფასს 9-ში: „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს 9-ის მიხედვით, სავალო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ან ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდას“ („SPPI კრიტერიუმი“) და რომ ინსტრუმენტი ამ კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნესმოდელის ფარგლებშია ფლობილი. ფასს 9-ში შესული ცვლილებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენა ან გარემოება, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და განურჩევლად იმისა, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ეს ცვლილებები გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ჯგუფს მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

დაკავშირებული მხარის ოპერაციები. ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

6. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის მიმდინარე წლის აუდიტისას მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდის ბალანსების გადახედვა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომების გასწორების ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

	1 იანვარი, 2017		
	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხები
ძირითადი საშუალებები	4,631	(111)	4,520
საინვესტიციო ქონება	63,618	168	63,786
მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი	(394)	246	(148)
ვალდებულებები გაუნაწილებილი (მოგება)/ზარალი	3,400	(303)	3,097
31 დეკემბერი, 2017			
	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხები
ძირითადი საშუალებები	3,532	(62)	3,470
საინვესტიციო ქონება	62,721	327	63,048
მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი	(368)	246	(122)
ვალდებულებები გაცემული სესხები	746	16	762
გაუნაწილებილი (მოგება)/ზარალი	5,614	(527)	5,087

ზემოხსენებული შეცდომების გასწორება გამოწვეული იმით, რომ კომპანიამ გადააფასა ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმები, რის შედეგადაც გადაიანგარიშა შესაბამისი დაგროვილი ცვეთა, რაც გავლენას ახდენს 2017 წლის სრულ შემოსავალსა და ძირითადი საშუალებების ნაშთზე, ასევე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების და გაუნაწილებელი მოგების ნაშთზე.

ამავდროულად, გადაანგარიშდა უცხოურ ვალუტაში არსებული გაცემული სესხების ნაშთები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც გამოწვეული იყო 2017 წლის გადაფასების აღურიცხაობით, რომელმაც ასევე გავლენა იქონია 2017 წლის სრულ შემოსავალზე, კერძოდ, წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან.

ასევე, გადაანგარიშდა 2017 წლის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მუხლი, რამაც გავლენა იქონია 2017 წლის 31 დეკემბრით არსებული საინვესტიციო ქონების ნაშთსა და 2017 წლის სრულ ზარალზე.

ასევე მოხდა ჩამოწერა, რომელსაც გავლენა არ ქონია 2017 წლის სრულ ზარალზე- დაკორექტირდა ძირითადი საშუალებები რომელიც წინა ფინანსურ ანგარიშგებაში კლასიფიცირებული იყო ვალდებულებებში.

შპს „აგრომექტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვარის მდგომარებით შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	1 იანვარი, 2017
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	52	120	120
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	6	5	4
სულ:	58	125	124

ფული და ფულის ეკვივალენტების გაუფასურების რეზერვი შექმნილი არ არის მათი მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე.

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით და 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვარის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	1 იანვარი, 2017
სამშენებლო მასალები	62	127	112
დაუმთავრებელი წარმოება	3	14	11
სხვა მარაგები	15	30	17
სულ სასაქონლო	80	171	140

9. წინასწარ გადახდილი გადასახადი

კომპანიის მიერ წინასწარ გადახდილი გადასახადი 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	1 იანვარი, 2017
წინასწარ გადახდილი გადასახადი	478	312	-
საგადასახადო და სხვა ვალდებულებები	-	-	(206)
სულ:	478	312	(206)

იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო აქტივების და ვალდებულებები აღირიცხება ერთობილვად საგადასახადო კოდექსის მიხედვით, კომპანია ახორციელებს მათ ურთიერთგაქვითვას.

შპს „აგრომექტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

10. მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან

კომპანიის მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	1 იანვარი, 2017
საიჯარო მოთხოვნები	372	1,105	2,291
დაკავშირებული მხარეებისგან			
სხვა საიჯარო მოთხოვნები	189	147	69
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	4	4	2
სხვა მოთხოვნები	51	15	43
მოთხოვნების ანარიცხები	(292)	(166)	(38)
სულ მოთხოვნები:	324	1,105	2,367

კომპანიის მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	1 იანვარი, 2017
პერიოდის დასაწყისში	166	38	146
პერიოდის ცვლილება (რეზერვის ამობრუნება)	126	128	(108)
	292	166	38

11. გაცემული სესხები

კომპანიას აქვს გაცემული სესხები დაკავშირებულ მხარეებთან და ზემოხსენებული ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	1 იანვარი, 2017
დაკავშირებული მხარეებზე გაცემული სესხები	629	629	611
მისაღები პროცენტი	204	132	59
სულ :	833	761	670

გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 11.5-დან 12 % -მდე. დარიცხული მისაღები პროცენტის გადახდა მოხდება სესხის ძირთან ერთად.

შპს „აგრომეტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	წიგნები	კომპიუტერული ტექნიკა და ციფრული აპარატურა	ავეჯი და მოწყობილობები	მანქანა/ დანადგარები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი, 2017	2,312	5,937	457	1,485	62	3	10,286
შესყიდვა	-	108	35	117	664	-	924
გასვლა	-	(49)	(5)	-	(664)	-	(718)
31 დეკემბერი, 2017	2,312	5,996	487	1,602	62	33	10,492
შესყიდვა	-	8	17	36	12	-	73
გასვლა	-	(64)	-	(3)	(12)	-	(79)
31 დეკემბერი, 2018	2,312	5,940	504	1,635	62	33	10,486
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი, 2017	(1,457)	(3,442)	(203)	(649)	-	(15)	(5,766)
ცვეთის ხარჯი პერიოდის განმავლობაში	(289)	(750)	(59)	(191)	-	(4)	(1,293)
ცვეთის ამობრუნება	-	34	3	-	-	-	37
31 დეკემბერი, 2017	(1,746)	(4,158)	(259)	(840)	-	(19)	(7,022)
ცვეთის ხარჯი პერიოდის განმავლობაში	(289)	(750)	(62)	(202)	-	(4)	(1,307)
ცვეთის ამობრუნება	-	52	-	2	-	-	54
31 დეკემბერი, 2018							
ნარჩენი ღირებულება							
1 იანვარი 2017	855	2,495	254	836	-	16	4,520
31 დეკემბერი, 2017	566	1,838	228	762	62	14	3,470
31 დეკემბერი, 2018	277	1,084	183	595	62	10	2,211

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გაცვითული ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 107 ათას ლარს, 43 ათასი ლარი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია გაცვითი ძირითადი საშუალებები.

შპს „აგრომეტი“**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები****2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის***(ათას ქართულ ლარში)***13. საინვესტიციო ქონება**

კომპანიის საინვესტიციო ქონება 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	მიწა	შენობა-ნაგებობა	სულ
საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი, 2017	29,350	38,131	67,482
შესყიდვა	-	780	780
გასვლა	(262)	(564)	(826)
31 დეკემბერი, 2017	29,088	38,348	67,436
შესყიდვა	-	1,174	1,174
გასვლა	(14)	(8)	(22)
31 დეკემბერი, 2018	29,074	39,514	68,588
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი, 2017	-	3,695	3,695
ცვეთის ხარჯი პერიოდის განმავლობაში	-	(760)	(760)
ცვეთის ამობრუნება	-	67	67
31 დეკემბერი, 2017	-	4,388	4,388
ცვეთის ხარჯი პერიოდის განმავლობაში	-	(779)	(779)
ცვეთის ამობრუნება	-	1	1
31 დეკემბერი, 2018	-	5,166	5,166
ნარჩენი ღირებულება			
1 იანვარი 2017	29,350	34,436	63,786
31 დეკემბერი, 2017	29,088	33,960	63,048
31 დეკემბერი, 2018	29,074	34,348	63,422

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გაცვეთილი საინვესტიციო ქონების ღირებულება შეადგენა 548 ათას ლარს 540 ათასი ლარი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია გაცვეთილი საინვესტიციო ქონება.

14. ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში

კომპანიის ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017		1 იანვარი 2017	
	საკუთრება	თანხა	საკუთრება	თანხა	საკუთრება	თანხა
შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზები	100%	7,343	100%	7,283	100%	6,785
		7,343		7,283		6,785

შპს „აგრომექტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

15. ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან

კომპანიის ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	1 იანვარი, 2017
მომსახურების ვალდებულება დაკავშირებულ მხარეებთან	-	2	17
მომსახურების ვალდებულებასხვა კონტრაგენტებისგან	62	120	131
სულ:	62	122	148

16. მიღებული ავანსები

კომპანიის მიღებული ავანსები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	1 იანვარი, 2017
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული ავანსები	-	-	921
იჯარიდან მიღებული ავანსები	19	34	3
სულ:	19	34	924

17. მოკლევადიანი / გრძელვადიანი სესხები

კომპანიის ნასესხები სახსრები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	1 იანვარი, 2017
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებ:	2,300	1,000	-
დარიცხული პროცენტი	159	14	-
	2,459	1,014	-

კომპანიას გაჩნია მიღებულ სესხები დაკავშირებული მხარეებისგან. მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 10-დან 11 % -მდე. დარიცხული პროცენტი წარმოადგენს მოკლევადიან სასესხო ვალდებულებებს.

18. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი 2018 და 2017 წლების მდგომარეობით გამოიყურება შემდეგნაირად:

	2018	2017
საიჯარო შემოსავალი	1,258	1,121
შემოსავალი კომუნალური გადასახადებისგან	584	590
სულ:	1,842	1,711

შპს „აგრომეტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

19. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება 2018 და 2017 წლების მდგომარეობით გამოიყურება შემდეგნაირად:

	2018	2017
ცვეთა და ამორტიზაცია	1,962	1,556
საგადასახადო ხარჯი	1,215	1,075
კომუნალურის ხარჯი	530	548
რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	374	409
სხვა	10	44
სულ:	4,091	3,632

20. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 და 2017 წლების მდგომარეობით გამოიყურება შემდეგნაირად:

	2018	2017
ცვეთა და ამორტიზაცია	70	349
პროფესიული მომსახურების ხარჯები	77	59
კომუნიკაციის ხარჯი	35	36
სხვა	4	11
სულ:	379	645

21. მოგება ძირითადი საშუალების და საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან

კომპანიის მოგება ძირითადი საშუალების და საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან 2018 და 2017 წლების მდგომარეობით გამოიყურება შემდეგნაირად:

	2018	2017
მოგება საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან	-	728
მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	-	1
სულ:	-	729

22. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 80,251 ათას ლარს (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით-80,251 ათასი ლარი). 2018 წლის განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ განხორციელებულა.

23. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენებია და აღწერილია ქვემოთ.

შპს „აგრომეტი“**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები****2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის***(ათას ქართულ ლარში)***სავალუტო რისკი**

კომპანიის მიერ განხორციელებული გარკვეული ტრანზაქციები წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად წარმოიშვება საკურსო სხვობები.

კომპანიის ოპერაციების დიდი ნაწილი ხორციელდება ლარში.

31 დეკემბერი, 2018	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	52	6	58
გაცემული სესხები	-	833	833
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	324	-	324
სულ ფინანსური აქტივები	376	839	1,215
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	2,459	-	2,459
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	62	-	62
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,521	-	2,521
ღია საბალანსო პოზიცია	(2,145)	839	

31 დეკემბერი, 2017	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	120	5	125
გაცემული სესხები	-	761	761
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	1,105	-	1,105
სულ ფინანსური აქტივები	1,225	766	1,991
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	1,014	-	1,014
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	122	-	122
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,136	-	1,136
ღია საბალანსო პოზიცია	89	766	

1 იანვარი, 2017	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	120	4	124
გაცემული სესხები	-	670	670
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	2,367	-	2,367
სულ ფინანსური აქტივები	2,487	674	3,161
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	-	-	-
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	148	-	148
სულ ფინანსური ვალდებულებები	148	-	148
ღია საბალანსო პოზიცია	2,339	674	

შპს „აგრომეტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

	დოლარის გავლენა 2018		დოლარის გავლენა 2017		დოლარის გავლენა 1 იანვარი 2017	
	30%-იანი ზრდა	30%-იანი კლება	30%-იანი ზრდა	30%-იანი კლება	30%-იანი ზრდა	30%-იანი კლება
მოგება/ (ზარალი)	252	(252)	230	(230)	702	(702)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ურთიერთობს კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც მცირდება კონტრაქტორის დეფოლტის რისკი, მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	1 იანვარი, 2017
ფული და ფულის ეკვივალენტები	58	125	124
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წმინდა	324	1,105	2,367
სულ:	382	1,230	2,491

ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას.

კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც დაჯგუფებულია ვადიანობის მიხედვით, ანგარიშგების დღისთვის ხელშეკრულების ამოწურვის ან დაფარვის მოსალოდნელ თარიღამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად.

31 დეკემბერი, 2018	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	324	-	-	324
გაცემული სესხები	204	629	-	833
სულ ფინანსური აქტივები	528	629	-	1,157
მიღებული სესხები	159	2,300	-	2,459
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	62	-	-	62
სულ ფინანსური ვალდებულებები	221	2,300	-	2,521

შპს „აგრომეტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

ლიკვიდურობის გარღვევა	307	(1,671)	-	(1,364)
კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა		(1,364)	(1,364)	

31 დეკემბერი, 2017	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	1,105	-	-	1,105
გაცემული სესხები	132	629	-	761
სულ ფინანსური აქტივები	1,237	629	-	1,866
მიღებული სესხები	14	1,000	-	1,014
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	122	-	-	122
სულ ფინანსური ვალდებულებები	136	1,000	-	1,136
ლიკვიდურობის გარღვევა	1,101	(371)	-	730
კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა	-	730	730	-

1 იანვარი 2017	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	2,367	-	-	2,367
გაცემული სესხები	59	611	-	670
სულ ფინანსური აქტივები	2,426	611	-	3,037
მიღებული სესხები	-	-	-	-
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	148	-	-	148
სულ ფინანსური ვალდებულებები	148	-	-	148
ლიკვიდურობის გარღვევა	2,278	611	-	-
კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა		2,889	2,889	-

ლიკვიდურობის რისკის სამართვად კომპანია იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორცაა ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები ნაკლებია ვიდრე მისი საჭიროება ფულად გასაველებზე.

კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვა ხორციელდება ოპტიმალური კაპიტალის სტრუქტურის საჭიროებებიდან გამომდინარე. კომპანია მართავს საკუთარ კაპიტალს საქმიანობის სფეროდან გამომდინარე სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის

შპს „აგრომეტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

ცვლილების გამო. კომპანიის საპროცენტო რისკი მინიმალურია რადგან კომპანიას აქვს სარგებლიანი ფინანსური ინსტრუმენტები და ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

24. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან ა(ა)იპ ცოდნის ფონდი და მისი შვილობილი კომპანიები. საანგარიშგებო წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები შედგება:

ურთიერთობა	2018		2017	
	დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ტრანზაქციები	ფინანსურ ანგარიშგებაში სრული კატეგორია	დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ტრანზაქციები	ფინანსურ ანგარიშგებაში სრული კატეგორია
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	70	70	70	70
შემოსავალი იჯარიდან საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	941	1,842	861	1,711

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები პერიოდის ბოლოს შედგება:

ურთიერთობა	31 დეკემბერი, 2018		31 დეკემბერი, 2017		1 იანვარი, 2017	
	დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ბალანსი	ფინანსურ ანგარიშგებაში სრული კატეგორია	დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ბალანსი	ფინანსურ ანგარიშგებაში სრული კატეგორია	დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ბალანსი	ფინანსურ ანგარიშგებაში სრული კატეგორია
გაცემული სესხები, სრული	833	833	761	761	670	670
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები მოთხოვნები	833	833	761	761	670	670
მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წმინდად	372	324	1,105	1,105	2,291	2,367
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები ვალდებულებები	372	324	1,105	1,105	2,291	2,367
მომსახურებიდან და მიწოდებიდან	-	62	2	122	17	148
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	-	62	2	122	17	148

შპს „აგრომეტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ სესხი აიღო 600 ათას ლარიანი ქონების გადასახადის აავანსად გადახდის მიზნით შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“-სგან. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა არაფერი მომხდარა ისეთი, რაც უნდა იყოს ნახსენები, მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ასს-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის განმავლობაში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ის სახელით

გელა მღებრიშვილი

თბილისი, საქართველო

2019 წლის 31 აგვისტო



Closer to you

შპს „აგრომეტი“

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	1 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017*	1 იანვარი, 2017*
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	2,211	3,470	4,520
საინვესტიციო ქონება	13	63,422	63,048	63,786
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	14	7,343	7,283	6,785
ბიოლოგიური აქტივები		32	18	13
არამატერიალური აქტივები		10	-	-
მიმდინარე აქტივები				
გაცემული სესხები	11	833	761	670
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	10	324	1,105	2,367
გადახდილი ავანსები		30	41	25
საგადასახადო აქტივი, წმინდა	9	478	312	-
მარაგები	8	80	171	140
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	58	125	124
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	1
სულ აქტივები		74,821	76,334	78,431
მიმდინარე ვალდებულებები				
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	15	62	122	148
მიღებული ავანსები	16	19	34	924
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	9	-	-	206
მოკლევადიანი სესხები	17	159	14	-
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	17	2,300	1,000	-
სულ ვალდებულებები		2,540	1,170	1,278
საწესდებო კაპიტალი		80,251	80,251	80,250
აკუმულირებული ზარალი		(7,970)	(5,087)	(3,097)
სულ კაპიტალი		72,281	75,164	77,153
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		74,821	76,334	78,431

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

31 აგვისტო, 2019

თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2019

თბილისი, საქართველო

10-33 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „აგრომეტი“
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

		2018	2017 *
შემოსავალი	18	1,842	1,711
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	19	(4,091)	(3,632)
საერთო მოგება		(2,249)	(1,921)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	20	(100)	(97)
ადმინისტრაციული ხარჯები	20	(379)	(645)
საოპერაციო მოგება		(2,728)	(2,663)
წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან		2	15
მოგება ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან	21	-	729
სხვა შემოსავალი		134	82
სხვა ხარჯი		(216)	(43)
ფინანსური შემოსავალი		70	70
ფინანსური ხარჯი		(145)	(14)
სხვა ფინანსური ხარჯი		-	(166)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(2,883)	(1,990)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(2,883)	(1,990)

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2019
თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2019
თბილისი, საქართველო

10-33 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „აგრომექტი“

საკუთარი კაპიტალის ინდივიდუალური ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 22)	აკუმულირებული ზარალი	სულ
1 იანვარი 2017*	80,250	(3,097)	77,153
წლის ზარალი	-	(1,990)	(1,990)
ნეტო ცვლილება კაპიტალში	1	-	1
31 დეკემბერი 2017 *	80,251	(5,087)	75,164
წლის ზარალი მოგება		(2,883)	(2,883)
31 დეკემბერი 2018	80,251	(7,970)	72,281

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2019
თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2019
თბილისი, საქართველო

10-33 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „აგრომეტი“

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	2018	2017*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებელისგან მიღებული ფულადი ნაკადები	2,971	3,896
მომხმარებლისგან მიღებული ავანსები	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(2,774)	(2,357)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(199)	(170)
ფულადი ნაკადები სხვა საოპერაციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(2)	1,369
გადახდილი გადასახადები	(1,313)	(1,875)
წმინდა ფულადი საშუალებების გადინება საოპერაციო საქმიანობებიდან	(1,313)	(1,875)
ფულადი საშუალებების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობებიდან		
ინვესტირებული თანხა	(60)	(498)
წმინდა ფულადი საშუალებების გადინება საინვესტიციო საქმიანობებიდან	(60)	(498)
ფულადი ნაკადები ფინანსირების საქმიანობებიდან		
ინვესტიციის გადინება	-	(500)
გაცემული სესხებიდან მიღებული ფულადი ნაკადები	1,300	1,000
ბანკის საკომისიოზე გადახდილი ფულადი ნაკადები	-	(1)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება ფინანსირების საქმიანობებიდან	1,300	999
ფულადი საშუალებების და მისი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(76)	(5)
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	125	124
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება	7	6
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	58	125

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2019
თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2019
თბილისი, საქართველო

10-33 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.